პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 120 (2483) ◉ შაბათი, 20 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

# გულშემატკივრებო, მოემზადეთ!

## მადრიდის ფინალის წინ

მადრიდი, 19 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ. ა. სტაროდუბი). დღეს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ბარსელონიდან მადრიდს ჩამოვიდა, სადაც კვირა დღეს ევროპის თასის ფინალურ მატჩში შეხვდება ესპანეთის ნაკრებს.

გაზეთების ათობით კორესპონდენტი გარს შემოეხვია საბჭოთა დელეგაციას ჯერ მადრიდის აეროდრომზე, შემდეგ კი სასტუმრო „ველასკესის" ჰოლში, (ამ სასტუმროში იცხოვრებენ ჩვენი ფეხბურთელები). შეხვედრის პროცედურა ჩვეულებრივი იყო: რეპორტიორებმა ფოტოფირზე ჯერ მთელი გუნდი აღბეჭდეს, მერე ცალკე ლევ იაშინს გადაუღეს სურათები, აიღეს ინტერვიუ ჩვენი მწვრთნელებისაგან, მერე ლ. იაშინს გაუმართეს საუბარი. სასტუმროსთან შეიკრიბა მადრიდელთა ჯგუფი. მადრიდელები მოვიდნენ ჩვენი სახელგანთქმული მეკარისა და სხვა მოთამაშეებისაგან ავტოგრაფების ასაღებად.

ჩვენმა ამასწინანდელმა მეტოქეებმა — დანიელმა ფეხბურთელებმა საბჭოთა ნაკრები ბარსელონის აეროდრომისაკენ გამოაცილეს, მადრიდში მშვიდობით ჩასვლა და ფინალში კარგი თამაში უსურვეს. ეს სურვილი სწორედ რომ დროულია. ესპანეთ — სსრ კავშირის მატჩი ძალზე დაძაბული იქნება, — ასე ფიქრობენ ესპანეთის სპორტული მიმომხილველები. მარტო იმიტომ კი არა, რომ ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა თასისთვის, არამედ საერთო აზრით, ერთმანეთს ხვდებიან ღირსეული მეტოქეები. ესპანური გაზეთები წერენ, რომ მათმა ნაკრებმა მთელი ძალ-ღონე უნდა მოიკრიფოს. ისინი ძირითადად იმედს ამყარებენ თავიანთი ფეხბურთელების დიდ სისწრაფესა და მაღალ ტექნიკაზე.

მადრიდში უფრო ცხელა, ვიდრე ბარსელონაში. მაგრამ ჰაერი აქ მშრალია. ტემპერატურა 20-30 გრადუსია.

სსრ კავშირისა და ესპანეთის მატჩი დაიწყება 21 ივნისს, 20 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით. გულშემატკივრებო, მოემზადეთ!

-მატჩისადმი ინტერესი უდიდესია, — იუწყება აპ-ის სააგენტოს კორესპონდენტი. მაყურებელთა რიცხვი 100 ათასს გადააჭარბებს. მასპინძლები ხომ პირველად ხვდებიან ნაკრებთა დონეზე საბჭოთა გუნდს, რომელიც ამავე დროს პრიზის მფლობელიცაა.

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ხოზე ვილიალონგა თავისი გუნდის შემადგენლობას გამოაცხადებს შაბათს. მან თქვა, რომ შემადგენლობა ნახევარფინალურ მატჩთან შედარებით ოდნავ შეიცვლება.

„რუსები ფიზიკურად ძლიერები არიან, — თქვა მწვრთნელმა, — ისინი კარგ ფეხბურთს თამაშობენ. ჩვენთვის ფინალი ძალიან ძნელი იქნება. მაგრამ მჯერა, რომ ჩემი ბიჭები გამარჯვებისთვის ყველაფერს გააკეთებენ".

პარასკევ საღამოს ესპანეთის ნაკრებმა უკანასკნელი ვარჯიში ჩაატარა და გაემგზავრა მადრიდთან ახლომდებარე მთიანი სოფლისაკენ, სადაც ისინი კვირამდე დარჩებიან.

III-IV ადგილებისათვის უნგრეთისა და დანიის გუნდებს შორის მატჩი გაიმართება დღეს ბარსელონაში. იგი დაიწყება 21 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით.

# ფალავანთა ჭიდილი კასპის სარბიელზე

კასპი, 19 ივნისი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ, ადგილობრივ საჭიდაო დარბაზში, აღიმართა ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის პირადგუნდური ჩემპიონატის ალამი. შეჯიბრებაზე თავი მოიყარა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების 110 წარმომადგენელმა. ეს, უკანასკნელ წლებში მაინც, სარეკორდო ციფრია რესპუბლიკური ჩემპიონატებისათვის.

შეჯიბრების პირველ დღეს სპორტსმენებმა დაამთავრეს ორი წრის შეხვედრები. 2-2 გამარჯვებით ცალკეულ წონით კატეგორიებში ლიდერობენ: უ მ ჩ ა ტ ე ს შ ი — თბილისელები დორეული და ქუცნიაშვილი, გორელი ბეინაშვილი; მ ჩ ა ტ ე შ ი — კასპელი პაპინაშვილი და საგარეჯოელი ჭიკაძე; ქ ვ ე მ ს უ ბ უ ქ შ ი — კასპელები ბალხამიშვილი და დავითაშვილი, ჯობავა, (აფხაზეთი), ბაბუციძე (სამხრეთ ოსეთი), მარტყოფლიშვილი (თბილისი); მ ს უ ბ უ ქ შ ი — თბილისელი ბეგლარაშვილი, გორელი ოდიშვილი, მცხეთელი იმერლიშვილი და თელაველი ქოჩიშვილი; ქ ვ ე ს ა შ უ ა ლ ო შ ი — გურჯაანელი იამანაშვილი, ბეკოევი (სამხრეთ ოსეთი), გორელი ბახტაძე და თბილისელი იაშვილი; ს ა შ უ ა ლ ო შ ი — მცხეთელი წოწინაშვილი, თბილისელი გულიაშვილი, გორელი ბალაკაშვილი და ქანოევი (აჭარა).

# სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში

დუშანბე, 19 ივნისი. დღეს აქ გაიმართა მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. ადგილობრივი „ენერგეტიკი" შეხვდა ბაქოს „ნეფტიანიკს". გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:1.

მერვედფინალურ მატჩში ბაქოელები ეთამაშებიან კიევის „დინამოს", რომელიც თავის სტადიონზე...

## გუშინ შეხვდა რომის „ლაციოს"

და წააგო ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ანგარიშით 1:2.

# ოთხი ფინალისტი

კრაკოვი. „დინამოს" კალათბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირზე დამთავრდა წინასწარი თამაშები ქვეჯგუფებში.

საბჭოთა კავშირის „დინამომ" ორი რიგითი გამარჯვება მოიპოვა. მან ჯერ დაამარცხა პოლონეთის „გვარდია" — 72:68 (37:39), შემდეგ კი რუმინეთის „დინამო" — 63:52 (27:22).

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „გვარდია" (პოლონეთი) — „რუდა გვეზდა" (ჩეხოსლოვაკია) 64:58 (34:27), „დინამო" (რუმინეთი) — „რუდა გვეზდა" 80:77 (34:18). ამრიგად, „ა" ქვეჯგუფიდან ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს სსრ კავშირის „დინამომ" (I ადგილი) და პოლონეთის „გვარდიამ" (II ადგილი).

„ბ" ქვეჯგუფის გუნდების ტექნიკური შედეგი ასეთია: „დინამო" (გდრ) — „დოჟა" (უნგრეთი) 66:64 (31:34), „ციანვეი" (ჩინეთი) — „სპარტაკი" (ბულგარეთი) 48:43 (25:28), „დინამო" — „ციან-ვეი" 73:70 (34:45), „სპარტაკი" — „დოჟა" 55:52 (23:17).

ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა გდრ-ის „დინამომ", მეორე — ჩინეთის გუნდმა. ორივე კოლექტივი გავიდა ფინალში.

# ოლიმპიური ქრონიკა

◆ **ლენინგრადში** დამთავრდა წინასაოლიმპიადო მატჩი ველოსპორტში, რომელშიც მონაწილეობდნენ გდრ-ის, პოლონეთის, ბულგარეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. გამარჯვებულთა შორის ძმები ალექსეი და მიხეილ კოლიუშევები აღმოჩნდნენ. 19 წლის ალექსეიმ 1.000 მეტრზე გიტში სენსაციური გამარჯვება მოიპოვა — 1.10,9. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი — ი. ბოდნიექსი V ადგილზე გამოვიდა.

მიხეილ კოლიუშევმა სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში ს. ტერეშჩენკოვი შეცვალა. მან ს. მოსკვინთან, ა. ბელგარდთან და პ. კოლუმბეტთან ერთად გაიმარჯვა 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში — 4.40,3. სპრინტში ყველას აჯობა ი. ბოდნიექსმა, ტანდემებით შეჯიბრებაში კი გაიმარჯვეს გერმანელმა ველოსიპედისტებმა.

◆ **თურქეთის** ჭიდაობის ფედერაციამ დაამთავრა ოლიმპიური ნაკრები გუნდის დაკომპლექტება თავისუფალ ჭიდაობაში. შედგა ორი ნაკრები — თითოში 8 სპორტსმენით.

პირველი გუნდის შემადგენლობაში შევიდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): ჰ. გუნგორი, ჰ. აკბასი, ნ. კაზანლი, მ. ათალაი, ჰ. გეციკი, ა. აიეკი, ჰ. არსლანი, ჰ. ქაფლანი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხალიჩის ცნობილი ოსტატები — ს. ტეკტაში, ა. გუნგორი და ბ. ბიუკე პირველ ნაკრებში ვერ მოხვდნენ. ისინი შევიდნენ მეორე გუნდში, სადაც უმთავრესად ახალგაზრდობაა თავმოყრილი. აი მეორე ნაკრების შემადგენლობაც: ს. ტეკტაში, ზ. უისალი, ა. აგრალი, ჰ. ონგორი, ჰ. სუაიერი, ა. გუნგორი, ბ. ბიუკე და დ. ალიკი.

◆ წლევანდელი წელი მოჭადრაკეებსაც ოლიმპიური აქვთ. დღეს, 20 ივნისს, იტალიის აგარაკ მერანოში დაიწყება ასეულრიანი შაშის დიდი ოლიმპიური ტურნირი, რომელშიც გამარჯვებულს მსოფლიო ჩემპიონის სახელი მიენიჭება. და ასე ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. ამასთან საჭიროა ვიცოდეთ ერთი დეტალიც. მსოფლიოს ახალი ჩემპიონი მომდევნო წელს ვალდებულია დაამტკიცოს თავისი უპირატესობა წინა ჩემპიონთან მატჩში. ამ ორთაბრძოლის ყაიმით დამთავრების შემთხვევაშიც კი იგი ჰკარგავს მოპოვებულ გვირგვინს. სწორედ ამ წესით ისარგებლა კიეველმა ი. კუპერმანმა, როცა 1960 წლის დიდ ოლიმპიურ ტურნირში გამარჯვებულ საბჭოთა დიდოსტატ ვ. შჩოგოლევს მოუგო მატჩი და დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონობა.

წლევანდელი დიდი ოლიმპიური ტურნირი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. მასში თავი მოიყარეს აღიარებულმა კორიფეებმა: მსოფლიო ჩემპიონმა ი. კუპერმანმა, ექს-ჩემპიონებმა — კანადელმა მ. დელორემ და ვ. შჩოგოლევმა, დიდოსტატებმა — სენეგალელმა ბაბა სიმ, ჰოლანდიელებმა ვან დეიკმა და ი. ბომ, ფრანგებმა მ. იზარმა, ნ. ბაკოლმა და სხვებმა. ამიტომ სპეციალისტები თავს იკავებენ იწინასწარმეტყველონ შესაძლებელი გამარჯვებული.

ტურნირი, რომელშიც 14 მოთამაშე მონაწილეობს, გაგრძელდება 2 ივლისამდე, რაც თამაშის ძნელ პირობებს გულისხმობს. ზოგჯერ მოთამაშეებს დღეში ორი შეხვედრა მოუწევთ.



ყაზბეგის რაიონის სპორტკავშირთან ჩამოყალიბდა თავისუფალი ჭიდაობის სექცია, რომელშიც ახალბედებს სპორტის ოსტატი ლ. ხართიშვილი ავარჯიშებს. სექციაში გაერთიანებული არიან კოლმეურნე და მოსწავლე სპორტსმენები.

ს უ რ ა თ ზ ე: ახალბედა მოჭიდავეები ჯ. კაზალიკაშვილი და ვ. წიკლაური წვრთნის დროს.

ფოტო ვ. წიკლაურისა.

◆ პ რ ა ღ ა, 19 ივნისი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ჩეხოსლოვაკიაში ჩამოვიდა თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელ ვაჟთა გუნდი. დღეს სტუმრები შეხვდნენ ადგილობრივ „დინამოს". დაძაბულმა ბრძოლამ მრავალრიცხოვანი მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია. გაიმარჯვეს ქართველმა ხელბურთელებმა — 19:16. სტუმართაგან ბურთები გაიტანეს: ცერცვაძემ — 7, ექსეულიძემ — 4, ფხაკაძემ — 3, კარტოზიამ და კოპალეიშვილმა — 2-2, ანთაძემ — 1.

◆ ლ ო ნ დ ო ნ ი, 19 ივნისი. „ალბერტ-ჰოლის" უზარმაზარ დარბაზში გაიმართა უჩვეულო მატჩი კრივში, რომელსაც აურაცხელი მაყურებელი დაესწრო. რინგზე გამოვიდნენ დიდი ბრიტანეთის გუნდი და „დანარჩენი ევროპის" ნაკრები. „დანარჩენი ევროპის" სპორტულ ღირსებას იცავდნენ პოლონეთის, ირლანდიის, ჰოლანდიისა და გფრ-ის სპორტსმენები, რომელთა შორის ძალიან ბევრი იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 6:4. წონითი კატეგორიების მიხედვით შეხვედრები მოიგეს: მაკლასკიმ — ფრეიშტადტთან (გფრ), ბენდიგმა (პოლონეთი) — მელონთან, გუტმანმა (პოლონეთი) — სმიტთან, მაკკოურტმა (ირლანდია) — დანისთან, გერლახმა (ჰოლანდია) — ტეილორთან, რობინსონმა — რეიმარსთან (გფრ), დიტერმა (გფრ) — ვარლეისთან, სტეკმა — ბარნსთან (ირლანდია), პეტშიკოვსკიმ (პოლონეთი) — ფიშერთან, ვუდჰაუზმა — ველდარსთან (ჰოლანდია).

◆ **ამსტერდამი**, 19 ივნისი. დღეს საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირზე შედგა XXII ტური. ყურადღების ცენტრში იყო ლარსენ — სპასკის შეხვედრა. პარტია არ დამთავრებულა. იგი გადაიდო ლარსენისთვის მოსაგებ პოზიციაში. ყაიმით დამთავრდა როსეტო — სმისლოვის, კვინონეს — შტეინისა და დარგა — ტალის შეხვედრები.

ფოგელმანმა მოუგო ვრანეშიჩს, პორტიშმა — ბერგერს.

◆ **ლონდონი.** „კუინს-კლაბის" ჩოგბურთელთა ტურნირის ფინალში მორიგი გამარჯვება მოიპოვა ა. დმიტრიევამ. მან დაამარცხა ინგლისელი ე. სტარკი — 6:2, 4:6, 7:5.

მშვენივრად ითამაშა მეტრეველი — კოროტკოვის წყვილმა, რომელმაც მოუგო ფრანგულ დუეტს — კონტესა და ბეუსტს — 6:4, 3:6, 6:1. საბჭოთა ჩოგბურთელები მეოთხედფინალში გავიდნენ, სადაც შეხვდებიან ოსუნა — პალაფოქსს (მექსიკა).

# წყალბურთელთა მატჩი

ბ ა თ უ მ ი, 19 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). „სპარტაკის" საცურაო აუზში გაიმართა წყალბურთელთა საერთაშორისო მატჩი. სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი შეხვდა რუმინეთის შეიარაღებული ძალების („ზვეზდა") კოლექტივს. გაიმარჯვეს საბჭოთა წყალბურთელებმა — 4:1. ბურთები გაიტანეს ვ. სემიონოვმა, ა. შიდლოვსკიმ, ი. კოპეიკინმა და გ. მარქაროვმა. ერთადერთი საპასუხო ბურთის ავტორი იყო ა. საბო.

ხვალ რუმინელი წყალბურთელები შეხვდებიან საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს.

ო. მურვანიძე

# ჩვენი შედეგები და

ჩვენი რესპუბლიკის კომპარტია და მთავრობა სისტემატურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევენ ადგილობრივ ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 12 მაისის დადგენილება — „სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგებისა და მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

სწორედ ამ მზრუნველობისა და დახმარების შედეგად ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა შარშან მეხუთედ მოიპოვეს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე მოპოვებულ დიდ მიღწევებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონებისა და ქალაქების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებმა.

ამჟამად რესპუბლიკაში 790.098 ფიზკულტურელია. ამ მონაცემებით საქართველო სსრ კავშირში III ადგილზეა ესტონეთისა და ლატვიის შემდეგ.

როგორი შედეგები აქვთ ამ მხრივ ჩვენი ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს?

ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა თბილისისა და ქუთაისის სპორტკავშირებში. ჩვენი ქვეყნის მსხვილ ქალაქებს შორის გაშლილ სოცშეჯიბრებაში მათ მოიპოვეს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები.

კარგი შედეგები აქვთ აგრეთვე ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ზუგდიდის, ბორჯომის, ტყიბულის, მახარაძის, ხაშურის, დუშეთის, ცხაკაიასა და გორის რაიონის სპორტკავშირებს. მათ უკვე მიაღწიეს მოსახლეობის 25-30 პროცენტის ჩაბმას ფიზკულტურულ საქმიანობაში.

ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის მოწინავენი არიან „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ ცენტრალური, „ლოკომოტივის“ საგზაო და „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოები. მათ შეძლეს ყოველი მეოთხე მშრომელის ჩაბმა ფიზკულტურასა და სპორტში.

მარტო 1963 წელს მშთ კომპლექსზე რესპუბლიკაში მომზადდა 127.840 ნიშნოსანი.

სოცშეჯიბრების ამ ერთ-ერთ ძირითად პუნქტში ყველაზე კარგი მაჩვენებლები აქვთ ზესტაფონის, სიღნაღისა და გარდაბნის რაიონებს, აგრეთვე განათლების სამინისტროს სკოლებს, „შრომითი რეზერვების“, „სპარტაკისა“ და „კოლმეურნის“ ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებს.

მარტო განათლების სამინისტროს 2.373 სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივის მიერ გასულ წელს მომზადდა 108.931 იმშთ და მშთ ნიშნოსანი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დარგში საკავშირო მასშტაბით ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამოვრჩებით და მხოლოდ VI ადგილზე ვიმყოფებით. იმისათვის, რომ აქაც მაღალი შედეგები გვქონდეს, საჭიროა ყოველწლიურად მოვამზადოთ რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რიცხვის 4,5-5 პროცენტი მშთ ნიშნოსანი.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებაში. აქ ესტონელთა შემდეგ II ადგილზე ვართ.

1963 წელს რესპუბლიკაში მომზადდა ყველა თანრიგის 109.416 სპორტსმენი, რაც მოსახლეობის 2,5 პროცენტს შეადგენს. სხვებზე უკეთ იმუშავეს აჭარის, რუსთავის, ბორჯომის, მახარაძის, ზუგდიდისა და გორის რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, „შრომითი რეზერვების“, „დინამოს“, „განთიადის“ და „სპარტაკის“ კოლექტივებმა.

ჩვენი რესპუბლიკა მოწინავედ ითვლება მაღალკვალიფიციური სპორტსმენების აღზრდაშიც. გასულ წელს რესპუბლიკაში უნდა მომზადებულიყო 198 ოსტატი და 1.749 პირველთანრიგოსანი, ხოლო მომზადდა 263 და 2.579 (შესაბამისად).

სპორტის ოსტატებისა და პირველთანრიგოსანთა აღზრდას კარგად ართმევენ თავს თბილისი, აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, გორი, ჭიათურა, ზესტაფონი, კასპი, საგარეჯო, სამტრედია, თელავი, ტყიბული, ახალქალაქი, ახალციხე, გარდაბანი, დუშეთი, ზუგდიდი, მახარაძე, სიღნაღი, ბორჯომი, მცხეთა, ცხაკაია და ამბროლაური.

როგორც ვხედავთ, რესპუბლიკის სხვა რაიონები ჯერ კიდევ ვალში არიან. ეს გამოწვეულია იმით, რომ სპორტკავშირისა და ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოების ნაწილი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ჩამორჩენილი კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცებას, ნაკლებად ეხმარება ხარვეზების აღმოფხვრაში. რესპუბლიკის 500-ზე მეტმა კოლექტივმა მთელი 1963 წლის განმავლობაში ვერც ერთი თანრიგოსანი ვერ მოამზადა. განა შესაწყნარებელია ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად ვერ ვას-

# სად იყვნენ ხელმძღვანელები?

უკანასკნელ ხანს საგრძნობლად იკლო მსაჯობის ხარისხმა მძლეოსნობაში. სადღაც გაქრა კარგი ტრადიცია, როცა მსაჯები ღონისძიებაზე მოდიოდნენ ერთნაირი ფორმით, ეწყობოდა ალლუმები და ყველას მკერდზე ან მკლავზე ჰქონდა „თანამდებობის“ აღმნიშვნელი ნიშანი. ახლა კი მძლეოსანთა შეჯიბრების მსაჯებს ვერაფრით გაარჩევთ მაყურებლისგან. ისინი სექტორებზე გამოდიან ყოველდღიური ტანსაცმლით, ხშირ შემთხვევაში არ ატარებენ განმასხვავებელ ნიშნებს.

საგრძნობლად იკლო დისციპლინამაც, დაეცა მომზადების დონე, რადგან მსაჯები თავიანთ ცოდნას არ ამდიდრებენ ყველა იმ ცვლილების შესწავლით, რაც ხდება შეჯიბრების წესებში.

მსაჯთა უდისციპლინობის გამოვლინების ფაქტია თუნდაც ის, რომ ზოგჯერ „ტიტულიანები“ თავს არიდებენ „მცირე მასშტაბის“ შეჯიბრებებს — საქალაქო და რაიონულ პირველობებს. იყო შემთხვევა, როცა მსაჯთა ნაწილი ბოროტად იყენებდა ნდობას. ამას წინათ „ბურევესტნიკის“ სტადიონის თასის გათამაშებისას ა. გოგოხიას არაობიექტურობამ ზომიერების ყველა ფარგლებს გადააჭარბა.

თბილისის მოსწავლეთა პირველობის დროს I კატეგორიის მსაჯმა ა. ავსაჯანიშვილმა და მ. მუხიგულაშვილმა ნდობა გამოიყენეს იმისათვის, რათა სიგრძეზე ხტომაში ლენინის რაიონის (მათი რაიონის!) მოსწავლეთა მაჩვენებლებისათვის წაემატებინათ 30-40 სანტიმეტრი.

დამნაშავენი დაუსჯელნი არასდროს რჩებიან. გოგოხიას, ავსაჯანიშვილს, მუხიგულაშვილს აეკრძალათ მსაჯობა. ამასთან, მუხიგულაშვილი გაირიცხა სპორტული სკოლიდან. მაგრამ ფაქტი ხომ ფაქტად დარჩა?!

მსაჯის ავტორიტეტის დასაცავად ისევ მსაჯებმა უნდა იბრძოლონ. უკიდურეს შემთხვევაში, ზოგიერთი მოხულიგნო სპორტსმენი მსაჯთან გაუთავებელი კამათით თავისთვის სასურველ შედეგსაც აღწევს. სწორედ ამგვარი საქციელით ცდილობდა უროს მტყორცნელი ე. მექენკოვი მსაჯის (ვ. ფოფხაძის) დაშინებას, მაგრამ „ნომერი“ არ გაუვიდა. მექენკოვი მოიხსნა შეჯიბრებიდან. მძლეოსანმა ქალმა ნ. ჩხეიძემ შეჯიბრების დროს თავისი უმსგავსო საქციელით ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა მსაჯი ე. ნოზაძე, რომ ამ უკანასკნელს სურდა მიეტოვებინა სექტორი.

ყველაფერი ეს გამოწვეულია თბილისის მძლეოსნობის მსაჯთა კოლეგიის სუსტი მუშაობით. კოლეგიის პრეზიდიუმი არ ზრუნავს ქალაქში მომზადებული მსაჯების (შარშან მომზადებულა 875 მსაჯი) პრაქტიკულ სამუშაოზე გამოყენებისთვის. მსაჯთა კოლეგიები შექმნილი არ არის ქალაქის რაიონების სპორტკავშირებთან, უმაღლეს სასწავლებლებში, დიდ ფიზკულტურულ კოლექტივებთან.

ამ და მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია თბილისში მძლეოსნურ შეჯიბრებათა მსაჯობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებებთან, ილაპარაკეს მძლეოსნობის საქალაქო მსაჯთა კოლეგიის I კონფერენციაზე მოხსენებით გამოსულმა მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ჰ. ათაბეგოვმა და სიტყვებით გამოსულებმა — ე. გაგუამ, ვ. ბუკინმა, კ. სარქისოვმა, დ. მიქაბერიძემ, კ. მალიშკოვმა, ლ. გიორგაძემ, კ. ხუციშვილმა.

ისინი გულახდილად ლაპარაკობდნენ რესპუბლიკაში მძლეოსნობის განვითარების მტკივნეულ საკითხებზეც: რომ ბაზებზე ინვენტარის ნაკლებობაა, რომ შეჯიბრების დროს სექტორებზე, სამდივნოებში ადგილი აქვს მწვრთნელთა გაუთავებელ სიარულს და ა. შ.

მოსალოდნელი იყო, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებდნენ თბილისის რაიონების სპორტკავშირების თავმჯდომარეები, აქტივი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ (გარდა 1-ლი მაისის რაიონის წარმომადგენლისა) მოსვლაც კი არ იკადრეს. თუმცა რა გასაკვირია რაიონის სპორტკავშირების თავმჯდომარეთა გამოუცხადებლობა, როცა ამ კარგ წამოწყებას არ ესწრებოდა თბილისის სპორტკავშირის არც ერთი ხელმძღვანელი მუშაკი. განა რა ჰქონდათ მათ ამაზე საჭირბოროტო საქმე?! იქნებ მათ ყურამდე არ მიუღწევია ხმებს იმის შესახებ, რომ თბილისში მსაჯობა, განსაკუთრებით კი — მძლეოსნობაში, მეტად დაბალ დონეზეა?



# სპარტაკიადის ფინიში

მოსწავლეთა სპარტაკიადით გათვალისწინებული შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში სოხუმში გაიმართა. როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის გაიმარჯვეს თბილისელმა სპორტსმენებმა. პირად ჩათვლაში გოგონებს შორის გაიმარჯვა ჟ. ხურშუდიანმა (თბილისი), ხოლო ჭაბუკთა შორის — თ. რამაზაშვილმა (თბილისი).

მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა თბილისის I გუნდმა. ყველა შეხვედრა მოიგეს ოსტატობის კანდიდატმა თ. გიორგაძემ (ქუთაისი) და თბილისელებმა გ. ვარდოსანიძემ და ნ. ჩიქობავამ.

შაშში პირველობა დაისაკუთრა ფოთის გუნდმა.

ჩოგბურთში საერთო პირველი ადგილი თბილისის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებმა მოიპოვეს. უფროსი ასაკის გოგონათა შორის გაიმარჯვა ნ. თუხარელმა, ხოლო უმცროსი ასაკის გოგონებში — ვ. უზუნ-პოლოხოვამ. ჭაბუკთა ასპარეზობაში უძლიერესები იყვნენ (შესაბამისად) თ. კაკულია და ო. ცხვირაშვილი. გოგონათა წყვილებში გაიმარჯვა ნ. თუხარელ — ე. ნალბანდიანის „დუეტმა“, ჭაბუკთა შორის — თ. კაკულია — ვ. პერეგუდოვმა. შერეული წყვილების ასპარეზობა მოიგეს თ. კაკულია — ლ. მგალობლიშვილმა.

ავჭალის სასროლეთზე ჩატარდა მსროლელთა შეჯიბრება. გუნდური პირველობა მოიგეს თბილისის მოსწავლეებმა. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე წოლელა სროლაში პირველი იყო გ. ბუჩუკური (თბილისი) — 579 ქულა. ამავე მანძილზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში გაიმარჯვა თბილისელმა მ. ჟაკურაშვილმა (262 ქ.). მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სამი მდგომარეობიდან (3 × 20) სროლაში ტოლი არ ჰყავდა სოხუმელ სპორტის ოსტატს — ვ. სტეპანოვს (544 ქ.).

ველოსპორტში გუნდური პირველობა თბილისის სპორტსმენებმა მოიპოვეს. ინდივიდუალურ რბოლა 25 კილომეტრზე მოიგო თბილისელმა ვ. პოპოვმა. გუნდურ რბოლაში 50 კილომეტრზე გაიმარჯვა თბილისის I გუნდმა. საერთო სტარტით 75 კილომეტრზე რბოლაში პირველი იყო აფხაზეთის ველოსიპედისტი ვ. გლუშკოვი.

სპარტაკიადაში საერთო გუნდური პირველობა თბილისელებმა დაისაკუთრეს. მეორე ადგილზეა აფხაზეთი, მესამეზე — ქუთაისი.

* * *

**სურათზე:** ქუთაისის 23-ე სკოლის IX-კლასელი ნ. ბაბუნაშვილი, სპარტაკიადის ჩემპიონი თავისუფალ ვარჯიშში.

ფოტო ი. იუნაევისა.

# 11 გუნდის მონაწილეობით

დიდი ინტერესი გამოიწვია წულუკიძის რაიონის პირველობამ კალათბურთში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, რომელშიც მონაწილეობდა ქალთა 5 და ვაჟთა 6 გუნდი.

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის პირველი ადგილი მოიპოვეს რაიონული განათლების განყოფილების ნაკრებმა გუნდებმა.

ტ. ჯაფარიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

წულუკიძე.



# თელავის რაიონის მესვეურებს!

**მოსარჩელე:** თელავის საცურაო აუზი.

**ბრალდებული:** დოსააფის რაიონული კომიტეტი.

ჩემს შექმნაზე დიდძალი თანხა დაიხარჯა. წლების განმავლობაში მაშენებდნენ და, ბოლოს, როგორც იყო მივიღე 50-მეტრიანი ღია საცურაო აუზის ფორმა. მოაწყეს წყალში სახტომი დანადგარები და ბილიკები შესაბამისი კოშკურებით. რის ვაივაგლახით ამავსეს წყლით. უნდა გენახათ ჩემი და თელაველი ახალგაზრდების სიხარული, როცა აუზის საზეიმო გახსნაზე ცურვის სპეციალისტებიც კი მოიწვიეს.

მას შემდეგ, ერთ ხანს, აქ დილიდან გვიან საღამომდე არ წყდებოდა ცურვის მოყვარულთა ყიჟინა. მცოდნენი აუზის მთელ სიგრძე-სიგანეზე ცურავდნენ, ხტებოდნენ ტრამპლინიდან და კოშკურებიდან, პატარები უფრო „მორცხვად“ იქცეოდნენ, სიღრმეს ერიდებოდნენ, შედარებით თხელ ადგილებში ჭყუპალაობდნენ იმ იმედით, რომ მე შემდგომშიც ხანგრძლივად, პირნათლად შევიძლებდი მათს სამსახურს, ამასობაში ბავშვები ისწავლიდნენ ცურვას და თანდათან გაბედავდნენ უფრო ღრმად შემოჭრილიყვნენ „ჩემს არსებაში“.

მაგრამ ეს იყო და ეს... აუზად შემქმნეს და, თურმე ნუ იტყვით, გადაუწყვეტელი დარჩენიათ წყლით ჩემი მომარაგების პრობლემა. ვიმედოვნებდი: იქ, სადაც მონდომებაა, ამხელა ხარჯის გამწევ ორგანიზაციას წყლის საკითხი ვერ შეაშინებს, მასაც დადებითად გადაწყვეტს-მეთქი. მაგრამ მწარედ მოვტყუვდით ყველანი — მეც და ცურვის თელაველი მოყვარულებიც.

წლები წლებს მისდევს და მე უწყლობით ვიხრჩობი. მზემ და ქარმა გამაპარტახა, უდროოდ დამაბერა და დამაჩაჩანაკა.

პირგამშრალს ხანდახან მაინც მინახულებდნენ ხოლმე ჩემი პატარა მეგობრები. ელოდებოდნენ სასწაულს — წყალს. იგი კი არა და არ ჩანდა. იმედგადაწყვეტილებმა თანდათან ამოიკვეთეს ფეხი.

გავიგე, რომ მათ სხვაგან, მდინარეთა ნაპირებზე, ექსკავატორების მიერ შექმნილ გუბურებში მოუძებნიათ თავშესაფარი. ზაფხულის მცხუნვარე დღეებში იქ იკმაყოფილებენ სურვილს, სადაც ისეთი უპრეტენზიო პირუტყვიც კი არ კადრულობს ჩასვლას, როგორიც კამეჩია.

დოსააფის რაიონულ კომიტეტს მაინც ცოცხლებში ვეთვლები (ეს მას ხელს აძლევს...). მაგრამ, თუ დროზე არ მომხედავენ, არ შემაკეთებენ, წყლით არ ამავსებენ, სათვალავშიც აღარ გამოვადგები. და თუ დღეს ჩემზე სინანულით ამბობენ — იყოო, მალე იტყვიან — აღარ არისო.

მოდით, მიშველეთ, მიპატრონეთ! მეც მინდა ხალხს სამსახური გავუწიო.

ჩემი ნათქვამის სიმართლეში ეჭვი რომ არ შეგეპაროთ, წარმოგიდგენთ ამ ნივთიერ მტკიცებას. სურათეზე მე ვარ აღბეჭდილი. განა ისინი კომენტარს საჭიროებენ?

**ჩაწერა „ლელოს“ სპეციალურმა კორესპონდენტმა**

**ო. გელაშვილმა.**

თელავი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამოცანები

...რულებთ სპორტის ოსტატებისა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმებს სპორტის დაგეგმილი სახეობების მიხედვით?

რესპუბლიკაში ყოველ 16 ფიზკულტურელზე 1 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი მოდის. ესტონეთში ეს ციფრი 11-ს უდრის, ხოლო ლატვიაში — 14-ს. ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანაა მიმდინარე წლის ბოლოსთვის ისეთ მდგომარეობას მივაღწიოთ, რომ ყოველ 10-12 ფიზკულტურელზე მოდიოდეს 1 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა შეაჯამა 1963 წლის სოცშეჯიბრების შედეგები და ფიზიკური კულტურისა და სპორტის საუკეთესოდ დაყენებისთვის სპორტსაზოგადოებათა შორის გამარჯვებულად ცნო „დინამოს“ საქართველოს საბჭო, რომელსაც გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა. ალმებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ „განთიადისა“ და „შრომითი რეზერვების“ საბჭოები, საპატიო სიგელებით — „ლოკომოტივის“, „კოლმეურნისა“ და „სპარტაკის“ საბჭოები.

რესპუბლიკის ქალაქთა შორის გარდამავალი წითელი დროშებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ: ბათუმის, ზუგდიდისა და ბორჯომის, ხოლო ალმებითა და სიგელებით — რუსთავის, სოხუმისა და ტყიბულის სპორტკავშირები.

რაიონულ საბჭოებს შორის გარდამავალი წითელი დროშა და სიგელები მიეკუთვნათ მახარაძის, ზუგდიდისა და ხაშურის, ხოლო ალმები და სიგელები — დუშეთის, გორისა და ცხაკაიას სპორტკავშირებს, საპატიო სიგელები — სიღნაღის, გარდაბნისა და ზესტაფონის სპორტკავშირებს.

გამარჯვებული ქალაქებისა და რაიონების სპორტკავშირის თავმჯდომარეები პრეზიდიუმმა დააჯილდოვა სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

იმისთვის, რომ 1964 წელს დავამთავროთ შვიდწლიანი გეგმის მთლიანად შესრულება, საჭიროა: მიმდინარე წელს მოვამზადოთ 300 სპორტის ოსტატი, 2.500 პირველი, 60 ათასი სხვა თანრიგის სპორტსმენი და 100 ათასი „მშთ“ ნიშნოსანი. უნდა მივაღწიოთ, რომ რესპუბლიკის ყველა რაიონი აუცილებლად ამზადებდეს წელიწადში ერთ სპორტის ოსტატს მაინც, ხოლო ფოთი, რუსთავი, ჭიათურა, გორი, ტყვარჩელი, გაგრა, ოჩამჩირე, ქობულეთი, ზუგდიდი, ბორჯომი, კასპი, თელავი, სამტრედია, ზესტაფონი და წყალტუბო — არა ნაკლებ ორ-ორ სპორტის ოსტატს.

ამჟამად ფიზკულტურულ მოძრაობაში ახალი ეტაპი დაიწყო. ესაა ხალხთა ყოფაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვა, საქართველოს ყველა მშრომელის, მოსწავლისა და ბავშვის ჩაბმა ფიზკულტურაში. ამას მოითხოვენ ჩვენი პარტია, მთავრობა.

**ნ. სომხიშვილი,**
საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციო-მასობრივი და კადრების განყოფილების უფროსი ინსპექტორი.



„შრომითი რეზერვების“ XVIII რესპუბლიკური სპარტაკიადა. ს უ რ ა თ ზ ე: 25-კილომეტრიან რბოლაში (დაყოფილი სტარტით) გამარჯვებული თბილისის 31-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე მ. გაგნიძე (მარცხნივ) და მეორე ადგილზე გამოსული გ. ჰელელიძე (მე-18 პროფტექსასწავლებელი). ფოტო ვ. გენგიურისა.

## „ბ“ კლასი

**„ალაზანი“ (გურჯაანი) — „შრ. რეზერვები“ (კავმინვოდი)**

**გურჯაანი**, 19 ივნისი. (ტელეფონით ჩვენ კორ.). დღეს აქ შედგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივი „ალაზანი“ შეხვდა ქ. კავმინვოდის „შრომით რეზერვებს“.

პირველ ნახევარში უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. შესვენების შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ. მე-60 წუთზე მასპინძელთა კარში მათ გაიტანეს გოლი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

**„მეტალურგი“ (რუსთავი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)**

**რუსთავი**, 19 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). „მეტალურგის“ ფეხბურთელები დღეს საკუთარ მინდორზე შეხვდნენ ზონის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „ნოვოროსიისკის „ცემენტს“.

მატჩის დასაწყისში მასპინძლებს ანგარიშის გახსნის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ბურთი... საკუთარ კარში მიიღეს. ეს მოხდა მე-15 წუთზე ფეროშტანის ზუსტი დარტყმის შემდეგ. 21-ე წუთზე ქოჩიაშვილმა გაათანაბრა ანგარიში. ტაიმის მიწურულში ხვედელიძე — ხაბეიშვილის კომბინაციის შემდეგ გათამაშებული ბურთი ნოვოროსიისკის მეკარემ მოიგერია, მაგრამ ბურთს კვლავ ხაბეიშვილი დაეუფლა, ზუსტად ჩააწოდა ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ ქოჩიაშვილს, რომელმაც ძლიერი დარტყმით ანგარიში გაზარდა — 2:1.

მეორე ტაიმის პირველი 20 წუთი მატჩის დასაწყისის ზუსტი გამეორება იყო. იერიშებით გართულმა მასპინძლებმა ბურთი კვლავ საკუთარ კარში მიიღეს. მეორე ბურთის ავტორიც ფეროშტანი გამოდგა.

75-ე წუთზე ნოვოროსიისკელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, მაგრამ გალოიანმა იგი ვერ გამოიყენა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

**„დინამო“ (სოხუმი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი)**

**სოხუმი**, 19 ივნისი. ადგილობრივმა „დინამომ“ დიდი ანგარიშით (5:1) დაამარცხა კაფანის „ლერნაგორცი“.

## სამთა ტურნირი

**მოსკოვი**. გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის პრიზზე. 18 ივნისს აქ შედგა ტურნირის მეორე მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები და იუგოსლავიის „ჰაიდუკი“.

თამაში დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

●

## მწვრთნელთა სემინარზე

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი გ. კაჩალინი გაემგზავრა ლაიფციგს (გდრ), სადაც მონაწილეობას მიიღებს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ მოწყობილი მწვრთნელთა სემინარის მუშაობაში.

აქ გ. კაჩალინი წაიკითხავს ლექციას, რის შემდეგ ვარშავაში შეუერთდება თბილისის „დინამოს“ კოლექტივს.

●

## ოლიმპიური მატჩი

**რომი**. 18 ივნისს აქ გაიმართა შესარჩევი მატჩი ფეხბურთში იტალიისა და პოლონეთის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებს შორის.

იტალიელებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს — 3:0. განმეორებითი მატჩი გაიმართება 25 ივნისს პოზნანში.

* * *

ოლიმპიური ტურნირის მეათე მონაწილე გახდა ჩეხოსლოვაკიის გუნდი. ჩეხების მეტოქემ — საბერძნეთის ნაკრებმა ბოლო მომენტში უარი თქვა შესარჩევ თამაშებში მონაწილეობაზე.

ამჟამად ცნობილია ოლიმპიური ფინალური ტურნირის 10 მონაწილე. დარჩენილ 6 ვაკანტურ ადგილზე პრეტენზიას აცხადებს 12 გუნდი, მათს შორის სსრ კავშირის ნაკრებიც, რომელიც 28 ივნისს უნდა შეხვდეს გდრ-ის გუნდს.



ს უ რ ა თ ზ ე: ბათუმისა და სოხუმის დინამოელთა მატჩის ერთ-ერთი მომენტი. ფოტო ა. ტუღუშისა.





შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

**„დილა“ (გორი) — „ენგურჰესი“ (ზუგდიდი) 2:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).**

რა თქმა უნდა, განვლილ ტურში ყველაზე საინტერესო იყო ლიდერის მატჩი. გორელმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს შეხვედრა „ენგურჰესის“ წინააღმდეგ და პირველი დამარცხება მიაყენეს მას. დასაწყისში ზუგდიდელებმა ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ აქ თავი გამოიჩინა მეკარე მერაბიშვილმა, რომელმაც შეძლო ორი ძნელი ბურთის აღება. მასპინძლებმა 27-ე წუთზე კარგი კომბინაცია გაითამაშეს და გოლით დაამთავრეს იგი. მეორე ტაიმის დასაწყისში „დილამ“ გაიტანა კიდევ ერთი ბურთი, რის შემდეგ ლიდერმა თითქმის დათმო თამაში და წააგო კიდეც შეხვედრა — 0:2.

**„ცისკარი“ (ცხაკაია) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).**

ცხაკაიელმა ფეხბურთელებმა სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში და უკვე მე-6 წუთზე „მაღაროელის“ კარი აღებულ იქნა. შემდგომში ჭიათურელებმა შეძლეს თამაშის გათანაბრება, მაგრამ მალე მათს კარში დანიშნულ იქნა 11-მეტრიანი საჯარიმო — 2:0. გაიმარჯვა „ცისკარმა“.

**„შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „განთიადი“ (ბორჯომი) — 1:1. მსაჯი ა. კვერნაძე (თბილისი).**

მცირეოდენმა ტერიტორიულმა უპირატესობამ მასპინძლებს დასაწყისშივე მოუტანა წარმატება — 1:0. შემდგომში „განთიადი“ მედგრად იბრძოდა თანაბრობის აღსადგენად და შედეგსაც მიაღწია.

**„განთიადი“ (ბათუმი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:2. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).**

მთელ რიგ წარუმატებლობათა შემდეგ ბათუმის „განთიადმა“ შეძლო კარგად ჩაეტარებინა მატჩი ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან და ფრედ დაამთავრა იგი.

## ყაზახის გზატკეცილზე

ყაზახის გზატკეცილზე გათამაშდა რუსთავის პირად-გუნდური პირველობა ველორბოლაში. ვაჟთა შორის გამარჯვებისთვის იბრძოდა 31 სპორტსმენი. ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე გადაკვეთა რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრმა ი. კრასავცევმა („დინამო“). მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ მისივე თანაგუნდელები — გ. ფეიქრიშვილი და გ. საპლინი.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ქალთა შეჯიბრება, რომელშიც გაიმარჯვა დინამოელმა ტ. მალცევამ.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო „დინამოს“ კოლექტივი.

**რ. გაბრიძე**

## გათამაშების ცხრილი

I ქვეჯგუფი მდგომარეობა 20 ივნისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ენგურჰესი“ (ზუგდიდი) | 12 | 7 | 4 | 1 | 19—8 | 18 |
| „ცისკარი“ (ცხაკაია) | 12 | 6 | 6 | 0 | 12—4 | 18 |
| „დილა“ (გორი) | 12 | 7 | 3 | 2 | 17—8 | 17 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 12 | 6 | 4 | 2 | 20—9 | 16 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 12 | 6 | 4 | 2 | 10—7 | 16 |
| სას. სამ. ინსტ. (თბ.) | 12 | 4 | 6 | 2 | 20—13 | 14 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 12 | 5 | 4 | 3 | 14—11 | 14 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 12 | 6 | 2 | 4 | 15—13 | 14 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 12 | 4 | 4 | 4 | 13—10 | 12 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 12 | 4 | 4 | 4 | 11—10 | 12 |
| „დინამო“ (ქუთაისი) | 12 | 3 | 5 | 4 | 11—14 | 11 |
| „შახტიორი“ (ტყვარჩელი) | 12 | 3 | 4 | 5 | 10—13 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 12 | 4 | 2 | 6 | 15—20 | 10 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 12 | 2 | 4 | 6 | 7—14 | 8 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 12 | 1 | 6 | 5 | 9—17 | 8 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 12 | 2 | 4 | 6 | 5—13 | 8 |
| „განთიადი“ (ბათუმი) | 12 | 0 | 5 | 7 | 7—15 | 5 |
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 12 | 0 | 5 | 7 | 7—19 | 5 |

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 2:3. მსაჯი გ. აბაზაძე (თბილისი).**

მასპინძლები არ ელოდნენ ასეთ შეტევას მეტოქის მხრივ, რომელიც მთელი მატჩის მანძილზე თამაშობდა დიდი აღმავლობით და მონდომებით. მართალია, „გურიამ“ შეძლო ანგარიშის გათანაბრება მას შემდეგ, რაც იგი აგებდა — 0:2-ს, მაგრამ ამ გადამწყვეტ მომენტში ლოკომოტიველმა პერტენავამ გაიტანა მესამე ბურთი და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

**„შუქურა“ (ქობულეთი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი ზ. თრიდაძე (ქუთაისი).**

მატჩი მიმდინარეობდა მეტად საინტერესოდ ორმხრივ ბრძოლაში. თბილისელები ბევრს ეცადნენ „შუქურას“ მიერ გატანილი ერთადერთი გოლის გაქვითვას, მაგრამ ამაოდ.

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:0. მსაჯი ა. ფეიქრიშვილი (თბილისი).**

მახარაძელმა ფეხბურთელებმა ბოლო ხანებში შესამჩნევად უკლეს თამაშს და მხოლოდ ამ უკანასკნელი ტურის შეხვედრაში შეძლეს კომბინაციური, შეწყობილი იერიშების ჩვენება. მათი თავდამსხმელები განუწყვეტლივ უტევდნენ მეტოქის კარს და თალაკვაძემ უკვე მე-9 წუთზე გახსნა ანგარიში. შესვენების შემდეგ ნინუამ კიდევ 2 ბურთი გაგზავნა „მეტალურგის“ კარში.

**„მესხეთი“ (ახალციხე) — „დინამო“ (ქუთაისი) 0:0. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).**

ძლიერი წვიმის შემდეგ თამაში საკმაოდ ძნელი იყო და მიუხედავად ამისა, ორივე გუნდი ენერგიულად იბრძოდა წარმატების მისაღწევად. მაგრამ ორმხრივ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია.

**„სინათლე“ (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).**

მიუხედავად იმისა, რომ შესვენებამდე სტუმრებს რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ, ანგარიში არ გახსნილა. ბურთი მათ გაიტანეს მხოლოდ მეორე ტაიმში (წილოსანი), მაგრამ თამაშის დასასრულს ერთ-ერთი სახიფათო მომენტი მათს კართან საპასუხო გოლით დამთავრდა.



ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პროგრამა ძალზე შემჭიდროებულია. თამაშები უნდა დამთავრდეს 13 დღეში (რომში მათთვის 17 დღე იყო განკუთვნილი). ეს ძნელ პირობებში აყენებს ოლიმპიადის ორგანიზატორებს, — ყოველდღიურად ხომ სპორტის ათ სახეობაში უნდა ჩატარდეს შეჯიბრებები.

თამაშების მთავარი ნაწილი დაგეგმილია მეიძის პარკის მიდამოებში, სადაც არის ტოკიოს ეროვნული სტადიონი. მისი მშენებლობა დამთავრდა 1958 წელს, III აზიური თამაშების დაწყების წინ. იგი ტოკიოს თამაშებისთვის რეკონსტრუირებულ იქნა და ამჟამად 80 ათას მაყურებელს დაიტევს. ეროვნულ სტადიონზე დანიშნულია თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ოლიმპიადის ფინალური მატჩი ფეხბურთში და დიდი ეროვნული პრიზის გათამაშება ცხენოსნობაში.

შეჯიბრებების წინ სპორტსმენების მოთელვისთვის სტადიონს აქვს მიწისქვეშა მანეჟი, სპეციალური ხიდი, რომელიც სტადიონს აკავშირებს ტანვარჯიშულ დარბაზთან, საწყლოსნო აუზთან და დამატებით მძლეოსნურ სექტორებთან.

ს უ რ ა თ ზ ე: ტოკიოს ეროვნული სტადიონი.

# ჩვენი მეტოქე ფინალში

ხანგრძლივი ბრძოლა ევროპის თასზე ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. დარჩა ერთი გადამწყვეტი მატჩი — ფინალი!

სსრ კავშირის ნაკრების მეტოქე გამოავლინა უაღრესად დაძაბულმა ბრძოლამ ესპანეთისა და უნგრეთის გუნდებს შორის. ესპანელთა გუნდის მწვრთნელმა ხ. ვილიალონგამ განაცხადა, რომ განზრახული აქვს საბჭოთა გუნდის წინააღმდეგ გარკვეული ცვლილებანი მოახდინოს თავის ნაკრებში.

## 18 ესპანელი

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ევროპის თასის მეორე გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტს წარუდგინა თავისი ნაკრების განაცხადი. დღეს ვათავსებთ მოკლე ცნობებს ესპანელ ფეხბურთელთა შესახებ.

**ირიბარი.** მეკარე. 21 წლისაა, თამაშობს ბასკონიის „ატლეტიკოში" (ბილბაო). ნაკრებში ჩაირიცხა გასული წლიდან, გამოირჩევა კარგი რეაქციით. მწვრთნელი ვილიალონგა დღეისთვის ირიბარს „რეალის" გამოცდილ მეკარე ვისენტეზე და უმცროს ზამორაზე („ვალენსია") მაღლა აყენებს.

**სადურნი.** ეს მეკარეც ბასკია. საყურადღებოა, რომ „ბარსელონაში" მან შეცვალა მსოფლიოში ცნობილი მეკარე რამალეტსი, რომელიც რიკარდო ზამორას (უფროსს) ომისშემდგომი ხანის ერთ-ერთ უძლიერეს მეკარედ მიაჩნია.

**რივილია.** მადრიდის „ატლეტიკოს" მარჯვენა მცველი. 26 წლისაა. თამაშობს მკვეთრად და საიმედოდ, ნაკრებში შეყვანილ იქნა 1962 წლის შემოდგომაზე.

**კალეხა.** 26 წლის ცენტრალური მცველი მადრიდის „ატლეტიკოდან". ნაკრებში დააწინაურა ვილიალონგამ, რომელიც „ატლეტიკოს" მწვრთნელიცაა. კალეხა მონაწილეობდა ევროპის თასის მეორე გათამაშების წინასწარ თამაშებში ჩრდილოეთ ირლანდიისა და ირლანდიის გუნდების წინააღმდეგ.

**ოლიველია.** 26 წლისაა, დიდი ხანია წარმატებით თამაშობს „ბარსელონაში", მაგრამ დროდადრო ნაკრებშიც გამოდის.

**რეიხა.** სათადარიგო მცველი. თამაშობს „სარაგოსაში". მონაწილეობდა მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში.

**კალეგო.** ახალგაზრდა მცველი „სევილიიდან", ნაკრების დებიუტანტი.

**ფუსტე.** 23 წლის ახალგაზრდა ნახევარმცველი „ბარსელონიდან", სადაც შეცვალა ცნობილი სეგარა. კარგად ერთვის შეტევაში, გამოირჩევა მაღალი ტექნიკითა და ტაქტიკური ალღოთი. დიდ როლს ასრულებს ესპანეთის განახლებულ ნაკრებში.

**ზოკო.** 23 წლისაა. დიდი დიაპაზონის ნახევარმცველი „რეალიდან". ზოგჯერ მეორე ცენტრალური მცველის ფუნქციებსაც ასრულებს. თამაშობს ძალზე მკვეთრად, ხშირად უხეშადაც და ამიტომ მსაჯების დიდი „ყურადღებით" სარგებლობს.

**პაკიტო.** ნაკრების სათადარიგო ნახევარმცველი. თამაშობს „ვალენსიაში".

**ამანსიო.** 23 წლის მარჯვენა გარემარბი, თამაშობს „რეალში", სადაც წლევანდელი სეზონის მიხედვით ლიდერის როლშია. მან აშკარად დაჩაგრა ვეტერანები დი სტეფანო, პუშკაში და ჰენტო. გამოირჩევა დიდი სისწრაფით და შედეგიანობით. უნგრელებთან გაიტანა გადამწყვეტი ბურთი. ეხერხება „სოლური" გარღვევები.

**დელ სოლი.** 26 წლის გამოჩენილი ფორვარდი. დაწინაურდა „ბეტისში", შემდეგ კი „რეალის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახდა. ორი წლის წინ გადავიდა იტალიის „იუვენტუსში", საიდანაც დროგამოშვებით უბრუნდება ხოლმე ესპანეთის ნაკრებს. დელ სოლი დიდი დიაპაზონის ფეხბურთელია, ხშირად იხევს უკან დაცვის დასახმარებლად, ხოლო თავდასხმაშიც აგრესიულად თამაშობს.

**პერედა.** 25 წლისაა. „ბარსელონაში" ჩინებულადაა შეთამაშებული ფუსტესთან. გამოირჩევა დიდი ენერგიითა და ტაქტიკური ოსტატობით. სწორედ ფუსტე — პერედას „დუეტმა" ითამაშა თვალსაჩინო როლი ჩრდილოეთ ირლანდიისა და ირლანდიის გუნდების წინააღმდეგ შესარჩევ მატჩებში.

**მარსელინო.** 24 წლის ცენტრალური თავდამსხმელი „სარაგოსადან". ძალზე აგრესიული და შედეგიანი თავდამსხმელია.

**სუარესი.** 27 წლის ესპანელთა მთავარი „კოზირი" დაწინაურდა „ბარსელონაში", შემდეგ თავის მასწავლებელ ე. ერერასთან ერთად გადავიდა მილანის „ინტერნაციონალეში". საჯარიმო დარტყმების შეუდარებელი შემსრულებელი. აქვს საუცხოო ტექნიკა. 1960 წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი ევროპაში. ესპანეთის ნაკრებში დროდადრო გამოდის. წარმატებით ითამაშა ბელფასტში, სადაც ესპანელებმა ძნელ ბრძოლაში ევროპის თასის გათამაშებიდან გამოთიშეს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები.

**ლაპეტრა.** ახალგაზრდა მარცხენა გარემარბი „სარაგოსადან". 25 წლისაა. როდესაც საკითხი დადგა ნაკრების გადახალისების შესახებ, ვილიალონგამ იგი ამჯობინა არა მარტო 31 წლის ჰენტოს, არამედ მეორე გამოჩენილ გარემარბ კოლარსაც.

**ვილა.** ნაკრების სათადარიგო თავდამსხმელი. თამაშობს „სარაგოსაში" ლაპეტრასთან ერთად, სადაც ეს წყვილი კარგი შედეგიანობით გამოირჩევა.

**ზაბალა.** ნაკრების სათადარიგო მარჯვენა გარემარბი. თამაშობს „ბარსელონაში", ზოგჯერ ცვლის ამანსიოს.

ესპანელთა ახლანდელი მწვრთნელი **ხოსე ვილიალონგა** ნაკრებს სათავეში ჩაუდგა 1962 წლის შემოდგომიდან.

## თ. ლეიუსი — ნახევარფინალში

ლ ო ნ დ ო ნ ი ს პირველობას ჩოგბურთში სხვაგვარად „კუინს-კლაბის" ტურნირსაც უწოდებენ. წლევანდელ შეჯიბრებაში, რომელიც წინ უძღვის „უიმბლდონს", მონაწილეობს 72 ვაჟი და 60 ქალი.

სსრ კავშირის უძლიერესი ჩოგბურთელი თ. ლეიუსი პირველ წრეში შეხვდა ახალზელანდიელ ჟ. მაკდონალდს და დაამარცხა იგი — 3:6, 6:1, 6:0.

დანარჩენმა ჩვენმა სპორტსმენებმა მარცხი განიცადეს: ჭაბუკმა ვ. კოროტკოვმა წააგო ავსტრალიელ უ. ბორეისთან — 6:1, 4:6, 4:6, ხოლო ა. მეტრეველმა — კ. ფლეტჩერთან (ავსტრალია) — 2:6, 2:6. ს. ლიხაჩოვს მოუგო ახალზელანდიელმა დ. ჯერარდმა — 9:7, 0:6, 3:6, თბილისელმა ა. ივანოვამ წააგო ამერიკელ ს. დე ფინთან — 3:6, 4:6.

სამაგიეროდ, საბჭოთა ჩოგბურთელებმა წარმატებას მიაღწიეს წყვილთა შეხვედრებში. ლეიუს — ლიხაჩოვის წყვილმა დაამარცხა ამერიკელთა „დუეტი" — რ. ხოლმბერგი — ა. ჰილი (6:3, 6;4), მეტრეველმა და კოროტკოვმა მოუგეს დიდი ბრიტანეთის საუკეთესო წყვილს—გ. სტილუელს და ს. მეტიუზს (6:4, 6:4).

წარმატებით გამოვიდა მომდევნო წრეში ლეიუსი, რომელმაც დაამარცხა ახალზელანდიელი კრუკენდენი. მეოთხედფინალში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა დამაჯერებლად მოუგო კ. ფლეტჩერს და ნახევარფინალში გავიდა.

# მაინც ვინ?

## ამსტერდამის საზონათშორისო ტურნირზე

მიიწურა ამსტერდამის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირი და მაინც არავის შეუძლია დაბეჯითებით თქვას, თუ ვინ გავა „ბედნიერ ექვსეულში", მიმომხილველებს იმედი ჰქონდათ, რომ XXI ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება ამ საკითხს ოდნავ მაინც ნათელს მოჰფენდა. მაგრამ პირიქით, მოხდა: მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ამაში „დამნაშავენი" არიან შტეინი და გლიგორიჩი.

შტეინს ენდშპილში როსეტოსთან ზედმეტი პაიკი ჰქონდა ერთ ფრთაზე. მსგავსი უპირატესობის რეალიზება მეტად ძნელია. სსრ კავშირის ჩემპიონმა ვირტუოზული თამაშით ისე შეავიწროვა არგენტინელის პოზიცია, რომ აიძულა როსეტო მეორე პაიკსაც გამომშვიდობებოდა. ორი პაიკი საკმაოდ დიდი უპირატესობაა და შტეინმა მოიგო პარტია. ამ გამარჯვებით იგი პრეტენდენტებში გაერია.

გლიგორიჩს სამი პარტია ჰქონდა სათამაშო. ორში მან უბრძოლველად მიაღწია გამარჯვებას — უნგრელი მოჭადრაკეები ბილეკი და ლენდიელი თამაშის განუახლებლად დანებდნენ. რეშევსკისთან მთელს საღამოს იბრძოდა, მაგრამ პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა. გლიგორიჩს მისი მოგების იმედი აქვს.

ამ დღეს სმისლოვმა მოუგო ვრანეშიჩს, ხოლო რეშევსკიმ XXII ტურის პარტია — პორატს.

თუ ვინ იქნება პრეტენდენტი, მართლაც ძნელი გამოსაცნობია. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია თვალი გადაავლოთ. ლიდერთა სატურნირო მდგომარეობას XXI ტურის შემდეგ:

სპასკი, სმისლოვი — 16, ტალი, შტეინი, ლარსენი — 15,5, ბრონშტეინი — 15, პორტიში, ივკოვი — 13, რეშევსკი 13 და 1 გადადებული პარტია 22-დან, დარგა — 12,5, გლიგორიჩი — 12 და 1 გადადებული პარტია.

მოგეხსენებათ, რომ პრეტენდენტებში შეიძლება მხოლოდ სამი საბჭოთა მოჭადრაკე მოხვდეს. შანსები კი ჯერ ხუთივეს აქვს. უცხოელებიდან პრეტენდენტებში თამაში უკვე განაღდებული აქვს ლარსენს. მას ვერც ერთი კოლეგა ველარ დაეწევა. დანარჩენების ბედ-იღბალი გაირკვევა ტურნირის ბოლოს ორ ტურში, რომლებშიც სპასკი შეხვდება ლარსენსა და კვინონესს, სმისლოვი — როსეტოსა და ლარსენს, ტალი — დარგასა და ტრინგოვს, შტეინი — კვინონესსა და დარგას, ბრონშტეინი — ტრინგოვსა და პორტიშს, ივკოვი — პახმანსა და ფოგელმანს, პორტიში — ბერგერსა და ბრონშტეინს, გლიგორიჩი — ევანსსა და ვრანეშიჩს და რეშევსკი — პერესს.

## უკანასკნელ საათს!

# კონტინენტის ჩემპიონები

**ბოლონია,** 19 ივნისი. ევროპის უძლიერესი მესტენდურეები ერთმანეთს შეხვდნენ კონტინენტის პირველობაზე მრგვალ სტენდზე სროლაში. საბჭოთა სპორტსმენები უძლიერესი აღმოჩნდნენ პროგრამის ყველა სახეობაში.

ვაჟთა შორის ყველაზე ზუსტი მსროლელები აღმოჩნდნენ ი. ცურანოვი და ვ. ვოროზბიოვი, რომლებმაც 114 თეფში დააზიანეს 150-დან. ჩემპიონი გამოვლინდა დამატებით 50 თეფშზე სროლაში. გაიმარჯვა ი. ცურანოვმა.

საბჭოთა მესტენდურეები პირველნი იყვნენ გუნდურ ჩათვლაშიც—555—600-დან. შემდეგ ადგილებზე არიან საფრანგეთი — 552, გფრ — 551 და შვეცია — 498.

ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი ქალთა შორის მოიპოვა კ. სმირნოვამ. ეს უმაღლესი წოდება მან დაიმსახურა ბელგიელ ფ. ვოტერსთან დამატებით სროლაში.

## რეკორდები, სიახლენი...

◆ კოპენჰაგენში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების სენსაცია იყო „ხუთჭიდის დედოფლის", მოსკოველი ასპირანტის ირინე პრესის გამოსვლა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა 80 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 10,9 წამი, ბირთვი ჰკრა 16,35 მეტრზე, დაძლია 155 სმ სიმაღლე. სამი სახეობის ჯამში მან მოაგროვა 3.079 ქულა, რაც 9 ქულით ჩამორჩება იმ მაჩვენებელს, რომელიც ი. პრესს ჰქონდა მსოფლიო რეკორდის დამყარებისას თბილისში 1961 წელს გამართულ საკავშირო ჩემპიონატში.

ახალი მსოფლიო რეკორდისთვის ი. პრესმა დარჩენილ ორ სახეობაში — სიგრძეზე ხტომასა და 200 მეტრზე რბენაში უნდა აჩვენოს გაცილებით უკეთესი შედეგები, ვიდრე მსოფლიო რეკორდის დამყარებისას ჰქონდა (მაშინ მისი შედეგები იყო: სიგრძეზე ხტომაში — 624 სმ, ხოლო 200 მ რბენაში—24,2).

◆ ს ო ფ ი ა. აქ სტუმრად ჩამოვიდა იაპონიის ფრენბურთელ ქალთა გუნდი. პირველ მატჩში მსოფლიო ჩემპიონები მასპინძელთა სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ და მხოლოდ მეხუთე, გადამწყვეტ პარტიაში მიაღწიეს გამარჯვებას (13:15, 15:6, 12:15, 15:7, 18:16). მეორე მატჩი ვარნაში გაიმართა. გამარჯვება კვლავ სტუმრებს ხვდა წილად, ამჯერად სამ პარტიაში (15:7, 15:10, 15:6).

◆ ბ რ ა ტ ი ს ლ ა ვ ა. აქ მიმდინარეობს ფრენბურთელთა წინასაოლიმპიადო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, გდრ-ისა და სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდები. საბჭოთა ფრენბურთელებმა პირველ ორ შეხვედრაში წარმატებას მიაღწიეს: მათ ჯერ ანგარიშით 3:1 დაამარცხეს გდრ-ის ნაკრები, ხოლო შემდეგ ჩეხოსლოვაკიის II ნაკრები — 3:0.

## დღეს და ხვალ თბილისში

**20 ივნისი**

ხელბურთი. რესპუბლიკის მოსწავლეთა (II ჯგუფი) პირველობა. „განთიადის" ბაზები (პლეხანოვის პროსპექტი № 95). დასაწყისი დილის 9 საათზე.

**21 ივნისი**

წყალბურთი. საკავშირო პირველობა „ბ" კლასის გუნდებისთვის. ამიერკავკასიის ზონის წინასწარი თამაშები. მონაწილეობენ — თბილისის „ბურევესტნიკი" და „ლოკომოტივი", ბაქოს სკა და ბავშვთა ცენტრალური სპორტსკოლა. ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზი. დასაწყისი 12 საათზე.

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. „მეშახტე" (ტყიბული) — „მესხეთი" (ახალციხე). „დინამოს" სტადიონი. დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

ქალაქის თასის გათამაშება ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის. შამპანკომბინატის, არმიელთა სპორტული კლუბის, მედქალაქისა და სტუდქალაქის სტადიონები. დასაწყისი 10 საათზე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დ ე პ ე შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.

